

ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N14 საცხოვრებელი სახლის
N9 ბინაზე, მოქალაქე გიორგი ფხაკაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ჯავახიშვილის ქუჩა N14 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაში მცხოვრები მოქალაქე გიორგი ფხაკაძის წარმომადგენლის ზაზა ქათამაძის განცხადება /2013 წლის 10.07 №ქ-7241/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N14 საცხოვრებელი სახლის N9 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე გიორგი ფხაკაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N14 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გიორგი ფხაკაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცეციფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N14 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაზე /საერთო ფართობი 52,05 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 27,14 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,91 კვ.მ./ მოქალაქე გიორგი ფხაკაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

დ.კოპალიანი